



**სახელმწიფო დანიშნულების, ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზის
კმ 85 – კმ 98 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების
მოსამზადებელი კონცეპტუალური პროექტი და სატენდერო
დოკუმენტაცია
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა**

თბილისი 2017

სახელმწიფო დანიშნულების, ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზის
კმ 85 – კმ 98 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების
მოსამზადებელი კონცეპტუალური პროექტი და სატენდერო
დოკუმენტაცია
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა

შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“

დირექტორი

პროექტის მენეჯერი



გ. ბენდუქიძე

ს. ლაღანიძე

თბილისი 2017

საქ GAC



სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო –
აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა
GAC-TL-0081

ადასტურებს, რომ

შპს „გეოტექსერვისი“-ს
საგამოცდო ლაბორატორია

მდებარე: საქართველოს, თბილისი, მირიან შვეცის ქ #50,
შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17025:2010-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: ლორი და ხრები მიწის მკვრივი ქსებისგან სამშენებლო სამუშაოებისათვის; გრუნტები;
(იხ. აკრედიტაციის სფერო, დანართი 1).

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
11 სექტემბერი 2014 წ.

ძალაშია
11 სექტემბერი 2018 წ.

საქ GAC



0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 142ა

დამკვეთი: სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
დამამზადებელი: შპს „სოლი“, სფს-ს რეგისტრაციის № 06-3938

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

“8“ ივნისი 2017წ.

- **ღამკვეთი - Foreign enterprise Institut IGH d.d., Joint Stock Company (Croatia)**
- **ობიექტის დასახელება** – სახელმწიფო დანიშნულების ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85–კმ 98 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების მოსამზადებლად კონცეპტუალური პროექტი და სატენდერო დოკუმენტაცია – საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.
- **გვანებლობის ტიპი (ახალი, რემონსტრუქცია, გაზარტობა)** – რეაბილიტაცია;
- **ობიექტის მისამართი** – ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85–კმ 98 მონაკვეთის;
- **ობიექტის დაპროექტების სტადია** – მუშა პროექტი;
- **ობიექტის ტექნიკური დახასიათება** – ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85–კმ 98 მონაკვეთის, სახიდე გადასასვლელის და წყალგამტარების ადგილების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
- **საპირკვლის სავარაუდო ტიპი:**
- **საპროექტო დატვირთვა საპირკვლის ძირზე:** -
- **საველე სამუშაოები** – გაიბურღოს ოთხი ჭაბურღილი, ერთი ჭაბურღილი 15.0მ სიღრმემდე სახიდე გადასასვლელზე, ორი ჭაბურღილი 15.0 და 10.0მ სიღრმემდე წყალგამტარებზე და ერთი 10მ სიღრმის ჭაბურღილი გზაზე დამცავ კედელთან. გზაზე გაყვანილი იქნას 6 შურფი 1.5მ სიღრმემდე. შესაბამისად ჭაბურღილებიდან და შურფებიდან ნიმუშების აღებით, მათი შემდგომში ლაბორატორიული კვლევებისათვის;
- **ბანსაკუთრებული აღნიშვნები** –
- **შენიშვნა** – საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში წარმოდგენილი იქნას ქართულ და ინგლისურ ენაზე ორ-ორ ვებემკლარად ელექტრო ვერსიით (CD).

დამკვეთი:

სარჩევი:

1. შესავალი;
2. კლიმატური პირობები;
3. გეოლოგიური და გეომორფოლოგიური აგებულება, სეისმურობა;
4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
 - 4.1 კმ 85 – კმ 98 გზის მონაკვეთი;
 - 4.2 სახიდე გადასასვლელი;
 - 4.3 წყალგამტარები;
- 5 გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები;
- 6 დასკვნა

ნახაზები:

- ნახაზი 1. ჭაბურღილების და შურფების განლაგების გეგმა;
- ნახაზი 2 ჭაბურღილების ჭრილები;
- ნახაზი 3 შურფების ჭრილები;

ტექსტური დანართები:

- დანართი 1 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ჯამური ცხრილი;
- დანართი 2 გრუნტების გრანულომეტრიული შემადგენლობის ჯამური ცხრილი;
- დანართი 3 გრუნტების გრანულომეტრიული შემადგენლობა;
- დანართი 4 გრუნტების კომპრესიულობა;
- დანართი 5 გრუნტების ძვრის მაჩვენებლები;
- დანართი 6 წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე;
- დანართი 7 გრუნტების ქიმიური შემადგენლობა;
- დანართი 8 გრუნტების აგრესიულობა;
- დანართი 9 ზედაპირული წყლის ქიმიური შედგენილობა;
- დანართი 10 წყლის აგრესიულობა;
- დანართი 11 გარემოს აგრესიულობა;
- დანართი 12 CBR
- დანართი 13 პროქტორი;
- დანართი 14 ფოტომასალა.

1. შესავალი

შპს „გეოტექსერვისმა“ „Foreign enterprise Institut IGH d.d., Joint Stock Company (Croatia)“-სთან 2017 წლის 8 ივნისს დადებული №08.06.2017 ხელშეკრულების თანახმად მიიღო ტექნიკური დავალება ჩაეტარებინა „სახელმწიფო დანიშნულების ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85–კმ 98 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების მოსამზადებლად კონცეპტუალური პროექტი და სატენდერო დოკუმენტაცია.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2017 წლის 15 ივნისიდან 19 ივნისამდე, (ინჟ. გეოლოგი: შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“-ს მხრიდან ზ. ლაღანიძე).

ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობდა 2017 წლის 19 ივნისიდან 24 ივნისამდე (გ. ნაცვლიშვილი, ბ. ხატიაშვილი, ქ. თედლიაშვილი, ბ. გოგოლაძე, ი. კოკოლაშვილი).

კამერალური სამუშაოები მიმდინარეობდა 20 ივნისიდან 24 ივნისამდე (ს. ლაღანიძე, ზ. ლაღანიძე, ნ. მომცელიძე, თარჯიმანი – ე. ჯიჯიაშვილი).

საველე კვლევებისას ჭაბურღილები და შურფები შესრულებულია დამკვეთის მიერ მითითებულ წერტილებში, რაოდენობით და სიღრმით - სახელმძღვანელოდ გამოყენებულია СНИП 1.02.07-87.

ჭაბურღილებიდან და შურფებიდან მათი შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იქნა დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის ნიმუშები.

შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობა მოცემულია ცხრილი 1.1.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენისას გამოყენებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტები: - პნ 02.01-08; პნ 01.01-09; СНИП 2,02,01-83, ГОСТ 25100-82, BS 1377, Part 4).

ცხრილი 1.1

სამუშაოს სახეობა	განზომილება	რაოდ.
საველე სამუშაოები:		
4 ჭაბურღილი 15.0მ სიღრმემდე	გრძ.მ.	34
სტანდარტული პენეტრაციის ცდა	ცდა	13
6 შურფის გაყვანა 1.5მ სიღრმემდე	გრძ.მ.	6
ნიმუშების აღება	ნიმუში	26
ლაბორატორიული კვლევა		
გრანულომეტრიული ანალიზი საცრული	ცდა	12
გრანულომეტრიული ანალიზი არეომეტრი	ცდა	12
ტენიანობა	ცდა	26
ატერბერგის ზღვრები	ცდა	13
სიმკვრივე	ცდა	21
მინერალური ნაწილის სიმკვრივე	ცდა	26
გაჯირჯვება	ცდა	6
კომპრესია	ცდა	6
ძერის მაჩვენებლები	ცდა	6
წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე	ცდა	18
პროექტორი	ცდა	6
CBR	ცდა	6
გრუნტების ქიმია	ცდა	6
წყლის ქიმია	ცდა	3
კამერალური სამუშაოები		
ფონდური გეოლოგიური, მეტეოროლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური მასალების მოძიება და დამუშავება	უბანი	1
საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგების კომპიუტერული დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენა (ქართული და ინგლისური ენა)	ანგარიში	1

2. კლიმატური პირობები

საკვლევი უბნის კლიმატური პირობების შეფასება ეყრდნობა ქ. კაზრეთის (71) მეტეოსადგურების მონაცემებს (ნიშნულით და ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდგომი მეტეოსადგური). მონაცემები მიღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის სტანდარტით (პნ 01.05-08).

საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება II კლიმატურ და II-ბ ქვერაიონს. იანვრის საშუალო ტემპერატურა -5°C -დან -2°C -დე იცვლება, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურა $+21^{\circ}\text{C}$ -დან $+25^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებშია.

ჰაერის ტემპერატურული პარამეტრები მოცემულია ცხრილებში.

ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.1

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
-0.3	1.2	5.0	10.5	15.8	19.7	22.1	22.3	18.7	13.2	6.8	2.1	11.4

ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.2

აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშ. მაქს.	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშ.	ყველაზე ცივი დღის საშ.	ყველაზე ცივი პერიოდის საშ.	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
						ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
-27	39	28.9	-9	-12	-0.4	2.4	25.5

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა - ცხრილი 2.3

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
65	66	68	68	70	72	72	72	73	76	74	64	70

- ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში შეადგენს – 600მმ;
- ნალექების დღელამური მაქსიმუმი – 110მმ;
- თოვლის საფარის წონა – 0.50კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 24;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა w_0 5 წელიწადში ერთხელ 0.23კპა;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა w_0 15 წელიწადში ერთხელ 0.38კპა;

1 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 16 მ/წმ;

5 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 20 მ/წმ;

10 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 24 მ/წმ;

15 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 26 მ/წმ;

20 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 27 მ/წმ;

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე:

თიხოვანი და თიხნარი - 0 სმ;

წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი – 0;

მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის – 0;

მსხვილნატეხოვანის – 0.

3. გეოლოგიური და გეომორფოლოგიური აბეზულება, სეისმურობა

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონი) ნაოჭა (ნაოჭა-შარიაული) სისტემას, ლოქ-ყარაბახის ზონა (სუსტადდანაოჭებული), ლოქის ქვეზონა (იურელისწინა კრისტალური ფუნდამენტის შვერილი).

რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ შუა ეოცენური (E_2) ლოქ-ყარაბახის ზონის ნალექები: ბაზალური კონგლომერატები, ტუფოქვიშაქვები. ასევე ცარცული ასაკის ტურონული და სენომანური სართულის (K_2 t-st), ანდეზიტო-ბაზალტური ლავები, ვულკანური ბრექჩიები და სხვა ვულკანური ქანები.

საკვლევი უბნის აგებულებაში მონაწილეობენ მეოთხეული ასაკის და ძირითადი წარმოშობის ეოცენური და ცარცული ასაკის ქანები: ღორღოვანი, ხვინჭოვანი, და ხრეშოვანი მეოთხეული ასაკის გრუნტები, ფარავენ ანდეზიტო-ბაზალტოვან ლავებს, ტუფობრექჩიებს და სხვა ტუფოგენური ქარმშობის გრუნტებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09)-დამტკიცების თანახმად, საკვლევი ტერიტორია საფარლო (3443) განეკუთვნება 9 ბალიან სეისმურ ზონას, A – სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.29-ის ტოლია, საკირე (3474) განეკუთვნება ასევე 9 ბალიან სეისმურ ზონას, A – სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.26-ის ტოლია, გუგუთი (3453) განეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ რაიონს $A=0.22$ -ს.

სეისმურობის მიხედვით შესწავლილი გზის (კმ 85 – კმ 98) უმეტესი ნაწილი 9 ბალიან ზონაშია, სახიდე გადასასვლელი (ჭაბ 4) სოფელი გუგუთის მიმდებარე ტერიტორია მოთავსებულია 8 ბალიან ზონაში.

4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა

მიღებული დავალების თანახმად ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 – კმ 98 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს გზის აღნიშნული მონაკვეთის კვლევას ერთი №3 10.0მ სიღრმის ჭაბურღილის და 6 - 1.5მ სიღრმის შურფების მასალებზე დაყრდნობით. სოფელ გუგუთთან დაგეგმილი არსებული ხიდის რეაბილიტაციის პროექტის მოსამზადებლად გაყვანილია ერთი №4 - 8.0მ სიღრმემდე ჭაბურღილი. ორი ჭაბურღილი №1 და №2 შესაბამისად 6.0მ და 10მ სიღრმემდე გაიბურღა წყალგამტარების დაპროექტების სამშენებლო მოედნების ადგილზე.

4.1 კმ 85-კმ 98 გზის მონაკვეთი

საპროექტო გზის აღნიშნული მონაკვეთი დაძიებულია ერთი 10.0მ სიღრმის ჭაბურღილით და 6 – 1.5მ სიღრმის შურფით. ჭაბურღილი გაყვანილია არსებული დამცავი კედლის მიმდებარედ (ნახაზი 2.3). როგორც ჭაბურღილის ჭრილიდან ჩანს ზედაპირიდან მცირე სიმძლავრის (0.3მ) გზის საფარი გრუნტების (სგე 1) შემდეგ 2.4მ სიღრმემდე ჭრილი აგებულია ყავისფერი მყარი კონსისტენციის თიხნარებით ხვინჭის და ღორღის 20%-დე ჩანართებით (სგე 2). 2.4მ სიღრმიდან ჭრილი აგებულია ძირითადი ქანებით – ვულკანური ბრეჭიებით. 2.4მ სიღრმიდან 4.6მ სიღრმემდე ბრეჭია ელუვირებულია, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრალიანებული (სგე 6), 4.6მ სიღრმიდან 6.8მ-დე გამოფიტული და დანაპრალიანებული (სგე 7), ხოლო დაძიებულ 10.0მ სიღრმემდე სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალიანებული (სგე 8).

გრუნტის წყალი ჭაბურღილში არ გამოვლენილა.

კმ 85-დან კმ 98-მდე გაყვანილია 6 შურფი თითოეული 1.5მ სიღრმის, შურფების ჭრილები მსგავსია, ზედაპირიდან ყველა შურფში გვხვდება გზის საფარი გრუნტი, რომელიც წარმოდგენილია არაერთგვაროვანი მასალით, ძირითადად ღორღოვანი, ხვინჭოვანი და იშვიათად კენჭნაროვანი მასალით სხვადასხვა შემავსებლით ძირითადად თიხა-თიხნარით და თიხაქვიშით (სგე 1). აღნიშნული შრის სიმძლავრე 0.4-0.7მ-ის ფარგლებში ცვალებადობს. ტექნოგენური ნაყარის შემდეგ ყველგან ვხვდებით მყარი კონსისტენციის ყავისფერ თიხნარს სხვადასხვა რაოდენობის (10%-დან 35%-დე) ღორღის ჩანართებით (სგე 2). შურფში №5 1.1მ სიღრმიდან დაძიებულ 1.5მ-დე თიხნარების შემდეგ ჭრილი აგებულია ძლიერ გამოფიტული ვულკანური ბრეჭიით (სგე 6)

გრუნტის წყალი არც ერთ გაყვანილ შურფებში არ გამოვლენილა.

სეისმურობის მიხედვით შესწავლილი გზის კმ 85 – კმ 98 უმეტესი ნაწილი 9 ბალიან ზონაშია, მხოლოდ სოფელი გუგუთის მიმდებარე ტერიტორია მოთავსებულია 8 ბალიან ზონაში. შესწავლილი გრუნტების სეისმურობა დადგენილი იქნა სამშენებლო ობიექტის 9 ბალიან სეისმურობის ზონაში მდებარეობის და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით. აღნიშნულის თანახმად, სეისმურობის მიხედვით ყველა გამოვლენილი სვე მიეკუთვნება II კატეგორიას. ამიტომ სამშენებლო მოედნის სეისმურობა განისაზღვრება, სოფელ გუგუთამდე 9 ბალით, ხოლო სოფელ გუგუთის მიმდებარედ 8 ბალით.

4.2 სახიდე გადასავლელი

საპროექტო ხიდის უბანზე ფონიჭალი-მარნეული-გუგუთის გზაზე სოფელ გუგუთთან დაგეგმილია, არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია, ხიდის სამშენებლო მოედანზე გაიბურღა ერთი ჭაბურღილი №4 8.0მ სიღრმის. ჭაბურღილი გაბურღულია მდინარის მარცხენა ნაპირზე დამკვეთთან შეთანხმებით მის მიერ მითითებულ ადგილზე.

ჭაბურღილი №4 გაბურღულია საპროექტო ხიდის დასაწყისში (ნახაზი 1). ნახაზზე 2 მოცემულია ჭაბურღილების ჭრილი საიდანაც ჩანს, რომ ჭაბურღილში №4 ზედაპირიდან 0.5მ სიმძლავრის ტექნოგენური ფენის (სვე 1) შემდეგ 2.8მ სიღრმემდე გვხვდება 2.3მ სიმძლავრის თიხნარი (სვე 2).

თიხნარის შემდეგ 2.8მ-დან 4.0მ სიღრმემდე ჭრილი აგებულია ვულკანური ბრექჩით, რომელიც 4.0მ სიღრმემდე გამოფიტული და დანაპრალიანებულია (სვე7), 4.0მ-დან დაიბეჭდულ 8.0მ სიღრმემდე იკლებს გრუნტის გამოფიტვის ხარისხი, გრუნტი წარმოდგენს - სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალებული ძირითად ქანს ვულკანურბრექჩიას (სვე 8).

გრუნტის წყალი ჭაბურღილში არ გამოვლენილა.

როგორც ჭაბურღილის ჭრილიდან ჩანს სახიდე გადასასვლელის ბურჯები მოეწყობა ვულკანურ ბრექჩიულ (სვე 7, სვე 8) გრუნტებში.

შესწავლილი გრუნტების სეისმურობა დადგენილი იქნა სამშენებლო ობიექტის 8 ბალიან სეისმურობის ზონაში მდებარეობის და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით. აღნიშნულის თანახმად, სეისმურობის

მიხედვით ყველა გამოვლენილი სვე მიეკუთვნება II კატეგორიას. ამიტომ სამშენებლო მოედნის სეისმურობა განისაზღვრება იგივე 8 ბალით.

4.3 წყალგამტარები

შესწავლილ გზის მონაკვეთზე ორი წყალგამტარის მოწყობის ადგილზე გაიბურღა თითო ჭაბურღილი №1 – 6.0მ სიღრმის და №2 – 10.0მ სიღრმის.

ჭაბურღილი №1 გაბურღულია ავტომაგისტრალისა და უსახელო ხევის კვეთის ადგილზე. როგორც ჭაბურღილის ჭრილიდან ჩანს (ნახაზი 2.1) 0.3მ სიმძლავრის გზის საფარის ტექნოგენური გრუნტების (სვე 1) ქვეშ 0.3მ სიღრმიდან 1.2მ სიღრმემდე ჭრილში გვხვდება ღორღოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით (სვე 3), ხოლო 1.2მ სიღრმიდან დაძიებულ 6.0მ სიღრმემდე ჭრილი აგებულია კლდოვანი მაგმური გრუნტებით, აღნიშნული გრუნტები 2.5მ სიღრმემდე გამოფიტული და დანაპრალიანებულია (სვე 4), ხოლო შემდეგ დაძიებულ სიღრმემდე სუსტად გამოფიტული და მკვრივი (სვე 5).

№1 ჭაბურღილთან ფერდობიდან მოსალოდნელია ქვაცვენა, რაც გასათვალისწინებელია წყალგამტარი ნაგებობის დაპროექტებისას.

ჭაბურღილი №2 გაბურღულია ავტომაგისტრალისა და ასევე უსახელო ხევის კვეთის ადგილზე. როგორც ჭაბურღილის ჭრილიდან ჩანს (ნახაზი 2.2) 0.3მ სიმძლავრის გზის საფარის ტექნოგენური გრუნტების (სვე 1) ქვეშ 0.3მ სიღრმიდან 6.8მ სიღრმემდე ჭრილში გვხვდება ღორღოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით (სვე 3), ხოლო 6.8მ სიღრმიდან დაძიებულ 10.0მ სიღრმემდე ჭრილი აგებულია ტუფობრექჩიებით, აღნიშნული გრუნტები ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრალიანებულია (სვე 6).

გრუნტის წყალი არც ერთ ჭაბურღილში არ გამოვლენილა.

შესწავლილი გრუნტების სეისმურობა დადგენილი იქნა სამშენებლო ობიექტის 9 ბალიან სეისმურობის ზონაში მდებარეობის და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით. აღნიშნულის თანახმად, სეისმურობის მიხედვით ყველა გამოვლენილი სვე მიეკუთვნება II კატეგორიას. ამიტომ სამშენებლო მოედნის სეისმურობა განისაზღვრება იგივე 9 ბალით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ფარგლებში გაბურღულ ჭაბურღილებში ჩატარდა სტანდარტული პენეტრაციის SPT(C)-ს ცდები, სულ 13 ცდა. SPT(C)-ს ჩატარებისას გამოყენებულია საშუალო სიმძიმის ჩაქუჩი რომლის წონა 60კგ-ს შეადგენს, ხოლო ვარდნის სიმაღლე 800მმ. გამოყენებული კონუსის მაქსიმალური დიამეტრი 74მმ-ია, წონა 1კგ, წვეროს კუთხე 60⁰-ია.

ცდის შედეგები მოცემულია ჭაბურღილების ჭრილებზე. ცხრილში 4.1 მოყვანილია ჩატარებული SPT(C)-ს შედეგები ინტერვალების მიხედვით, მოცემული რიცხვები შეესაბამება კონუსის ჩაღრმავების A, B, C და B+C ინტერვალებს, B+C ინტერვალის სიგრძე 30სმ-ის ტოლია.

ჭაბურღილებში ჩატარებულია სტანდარტული პენეტრაციის ცდები, თიხნაროვან, ღორღოვან და ძლიერ გამოფიტულ გრუნტებში. სგე 5, სგე 7 და სგე 8 სუსტად გამოფიტულ კლდოვან გრუნტებში სტანდარტული პენეტრაციის ცდების ჩატარება მათი მაღალი სიმკვრივის გამო არა რის მიხანშეწონილი (დარტმათა რიცხვის სიდიდე B+C აპრიორი მეტია 50-ზე).

ჩატარებული ცდები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ჭრილში წარმოდგენილი გრუნტების სიმკვრივეები ურთიერთან მიმართებაში. ქვემოთ ცხრილში 4.1 მოცემულია სტანდარტული პენეტრაციის ცდების შედეგები და მათი გასაშუალოებული მნიშვნელობები თითოეული გამოყოფილი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტებისათვის.

როგორც ცხრილიდან ჩანს სგე 2 თიხნაროვანი გრუნტებისათვის $B+C=N$ მაჩვენებელი საშუალოდ 44.3-ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ სგე 2 მიეკუთვნება მყარი გრუნტებს კატეგორიას. სგე 3 ღორღოვანი სგე 4 ძლიერ გამოფიტული მაგმური და სგე 6 ძლიერ გამოფიტული ბრექჩიებისათვის, B+C საშუალოდ მეტია 50-ზე – გრუნტები მიეკუთვნება მკვრივი გრუნტების ჯგუფს.

სგე 5, სგე 7 და სგე 8 სუსტად გამოფიტული ბრექჩიებისათვის და მაგმური გრუნტებისათვის სტანდარტული პენეტრაციის ცდები არ ჩატარებული, მათი აგებულებიდან გამომდინარე, ამ გრუნტებისათვის დარტმათა რიცვნის $B+C=N$ მნიშვნელობა აპრიორი მეტია 50-ზე.

ცხრილი 4.1

№№	ჭაბ №	ცდის სიღრმე მ.		სგე	A	B	C	B+C
		ღან	მდე					
8	3	0.5	0.95	2	18	23	20	43
9	3	1.50	1.95	2	16	19	22	41
11	4	1.50	1.95	2	22	22	22	44
12	4	2.50	2.95	2	23	24	25	49
საშუალო								44.3
1	1	0.5	0.95	3	18	18	22	40
3	2	0.5	0.95	3	21	20	24	44
4	2	1.50	1.95	3	19	24	25	49
5	2	3.0	3.45	3	>25			>51
6	2	5.0	5.45	3	23	24	>25	>51
საშუალო								>50
2	1	1.50	1.95	4	22	>25		>51
საშუალო								>50
7	2	7.0	7.45	6	>25			>51
10	3	3.0	3.45	6	23	22	25	47
საშუალო								>50
13	4	3.50	3.95	7	24	>25		>51
საშუალო								>50

ჭაბურღილებში გრუნტის წყალი არ გამოვლინდა. ლაბორატორიული კვლევისათვის აღებულია მდინარის (ხიდთან) და 2 უსახელო ხევის (წყალგამტარებთან) ზედაპირული წყლის სინჯები.

საკვლევ უბანზე გამოყოფილია გრუნტების რვა სახესხვაობა რვა საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე).

სგე 1 - გზის საგები გრუნტი, წარმოდგენილი ღორღით და ხვინჭით; ნაცრისფერი, უხეშ და საშუალო მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 10-15%-მდე;

სგე 2 - თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჭის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დგ;

სგე 3 - ღორღოვანი და ხვინჭოვანი გრუნტი, თიხნარის შემავსებლით 15-20%-მდე; ყავისფერი, მყარი, სუსტად კარბონატული თიხნარის თხელი შუაშრებით;

სგე 4 – კლდოვანი ქანი, გამოფიტული და დანაპრალებული, მუქი ლურჯი-მომწვანო, შავი ფერის ჩანაწინწკლებით და ბუდობებით;

სგე 5 – კლდოვანი ქანი, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალებული, მუქი ლურჯი-მომწვანო, შავი ფერის ჩანაწინწკლებით და ბუდობებით, მკვრივი;

სგე 6 – ვულკანური ბრექჩია, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრალებული, ელუვირებული;

სგე 7 – ვულკანური ბრექჩია, გამოფიტული და დანაპრალებული საშუალო სიმკვრივის;

სგე 8 - ვულკანური ბრექჩია, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალებული, მკვრივი;

5. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილი ჭაბურღილებიდან აღებულია 26 გრუნტის ნიმუში, ნიმუშებზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად (ГОСТ 9.015-74, СНиП 2.03.11-85, BS 1377. Part 4).

ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“-ს კუთვნილ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

ლაბორატორიული კვლევა მოიცავდა როგორც გრუნტების (19 მონოლითი) მონოლითური სტრუქტურის, ასევე დაშლილი (7 ნიმუში) ნიმუშების კვლევას.

როგორც ზევით ავღნიშნეთ სავლევ და ლაბორატორიული კვლევებით სამშენებლო უბანზე გამოყო რვა საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

სგე 1 - გზის საგები გრუნტი, წარმოდგენილი ღორღით და ხვინჭით; ნაცრისფერი, უხეშ და საშუალო მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 10-15%-მდე – ლაბორატორიულად შესწავლილია 2 დაშლილი სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით (დანართი 1), ლაბორატორიულად შესწავლილია გრუნტის ტენიანობა და შემავსებლის მინერალური ნაწილაკების წონა, დადგენილია გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა. საგები გრუნტებისათვის ასევე განსაზღვრულია CBR (დანართი 12) – გრუნტების კალიფორნიული მაჩვენებელი და პროქტორი (დანართი 13).

დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, განისაზღვრა CBR-ის სიდიდე ბუნებრივი ჩონჩხის წონის პირობებისათვის.

პროქტორი - განისაზღვრა სგე 1 გრუნტების მაქსიმალური სიმკვრივე ოპტიმალური ტენიანობის დროს.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ლიტერატურით დადგენილია სგე 1 გრუნტების მექანიკური მაჩვენებლების საანგარიშო მნიშვნელობები.

სგე 2 - თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჭის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დე - შესწავლილია 10 მონოლითური სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით (დანართი 1), ლაბორატორიულად შესწავლილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა. დადგენილია

თიხნარების დეფორმაციის მოდულის და ძვრის მაჩვენებლების მნიშვნელობები, როგორც ბუნებრივ ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

თიხნაროვანი – სგე 2 გრუნტებისათვის ასევე განსაზღვრულია CBR (დანართი 12) – გრუნტების კალიფორნიული მაჩვენებელი და პროქტორი (დანართი 13). განისაზღვრა CBR-ის სიდიდე ბუნებრივი ჩონჩხის წონის პირობებისათვის. პროქტორი - განისაზღვრა სგე 2 გრუნტების მაქსიმალური სიმკვრივე ოპტიმალური ტენიანობის დროს.

სგე 3 - ღორღოვანი და ხვინჭოვანი გრუნტი, თიხნარის შემავსებლით 15-20%-მდე, ყავისფერი, მყარი, სუსტად კარბონატული თიხნარის თხელი შუაშრეებით - შესწავლილია 3 დაშლილი სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით (დანართი 1), ლაბორატორიულად შესწავლილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა.

ღორღოვანი – სგე 3 გრუნტებისათვის განსაზღვრულია CBR (დანართი 12) – გრუნტების კალიფორნიული მაჩვენებელი და პროქტორი (დანართი 13). განისაზღვრა CBR-ის სიდიდე ბუნებრივი ჩონჩხის წონის პირობებისათვის. პროქტორი - განისაზღვრა სგე 3 გრუნტების მაქსიმალური სიმკვრივე ოპტიმალური ტენიანობის დროს.

სგე 4 – კლდოვანი ქანი, გამოფიტული და დანაპრალებული, მუქი ლურჯი-მომწვანო, შავი ფერის ჩანაწინწკლებით და ბუდობებით – ლაბორატორიულად შესწავლილია 1 მონოლითური სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით (დანართი 1), ლაბორატორიულად შესწავლილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია გრუნტის წინააღმდეგობა ერთდერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

სგე 5 – კლდოვანი ქანი, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალებული, მუქი ლურჯი-მომწვანო, შავი ფერის ჩანაწინწკლებით და ბუდობებით, მკვრივი - ლაბორატორიულად შესწავლილია 2 მონოლითური სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით (დანართი 1), ლაბორატორიულად შესწავლილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია გრუნტის წინააღმდეგობა ერთდერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

სგე 6 – ვულკანური ბრექჩია, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრალებული, ელუვირებული - ლაბორატორიულად შესწავლილია 4 მონოლითური სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით (დანართი 1), ლაბორატორიულად შესწავლილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია გრუნტის წინააღმდეგობა ერთდერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

სგე 7 – ვულკანური ბრექჩია, გამოფიტული და დანაპრალებული საშუალო სიმკვრივის – ლაბორატორიულად შესწავლილია 2 მონოლითური სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით (დანართი 1), დადგენილია გრუნტების ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია გრუნტის წინააღმდეგობა ერთდერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

სგე 8 - ვულკანური ბრექჩია, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალებული, მკვრივი - ლაბორატორიულად შესწავლილია 2 მონოლითური სტრუქტურის ნიმუშის კვლევის მასალებზე დაყრდნობით, დადგენილია გრუნტების ფიზიკური მახასიათებლები. დადგენილია გრუნტის წინააღმდეგობა ერთდერძა კუმშვაზე როგორც ბუნებრივ ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

ლაბორატორიული კვლევების შედეგები მოცემულია ჯამურ ცხრილებში. დანართი 1 და დანართი 2.

დანართი 1 - გამოთვლილია ჩვენს მიერ უკვე გამოყოფილი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტების ფიზიკური და მექანიკური მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობები;

დანართი 2 მოცემულია სგე 1 გრუნტების გრანულომეტრიული შედგენილობის ჯამური შედეგები;

დანართში 3 მოცემულია სგე 1 გრუნტების გრანულომეტრიული შედგენილობის ცდის შედეგები - საცრული და არემეტრული;

დანართში 4 მოცემულია თიხნარების კომპრესიულობა, როგორც დანართიდან ჩანს თიხნარები დეფორმაციულობის მიხედვით მიეკუთვნებიან კუმშვადი გრუნტების ჯგუფს;

დანართში 5 მოცემულია თიხნარების ძვრის მაჩვენებლები;

დანართში 6 მოცემულია ძირითადი ქანების ერთდერძა კუმშვისადმი წინააღმდეგობის მაჩვენებლები;

სამშენებლო მოედნის ამგები გრუნტების ქიმიური შედგენილობა შესწავლილია 6 ნიმუშის ლაბორატორიულ კვლევებზე დაყრდნობით. დანართში 7 და დანართში 8 მოცემულია გრუნტების ქიმიური შედგენილობა და მათი აგრესიულობა, სხვადასხვა მარკის ბეტონების მიმართ. როგორც დანართებიდან ჩანს გრუნტების დამარილიანების ტიპი ჰიდროკარბონატულ კალციუმიანია, გრუნტები არ ავლენენ აგრესიულობას არც ერთი სახის ცემენტების მიმართ.

დანართში 9 მოცემულია მდინარე ლოქის წყლის და მისი ორი პატარა უსახელო შენაკადის წყლის ქიმიური შემადგენლობა, როგორც დანართიდან ჩანს მდინარის წყლების დამარილიანების ტიპი ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ, კალციუმიანია-მაგნიუმიანია, საშუალოდ 0.037 გრამი ლიტრზე მინერალიზაციით.

დანართში 10 მოცემულია ზედაპირული წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონების მიმართ. წყალები ავლენენ სუსტ აგრესიულობას მხოლოდ წყალბადიონის მაჩვენებლით W4 მარკის ბეტონების მიმართ.

დანართი 11 – ზედაპირული წყლების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის არმატურაზე მათი პერიოდულად დასველების შემთხვევაში არის სუსტი. ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი $>0.1\text{მ/დღე-ღამე}$ არის საშუალო.

დანართი 12 მოცემულია სგე 1, სგე 2 და სგე 3 გრუნტების კალიფორნიული მაჩვენებლები.

დანართში 13 მოცემულია სგე 1, სგე 2 და სგე 3 გრუნტების ოპტიმალური ტენიანობის დროს მაქსიმალური სიმკვრივის სიდიდეები.

დანართი 14 მოცემულია გამონამუშევრების ფოტოსურათები და სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტომასალა;

გრუნტების (სგე) საანგარიშო მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში № 6.1

6. ღასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგების და არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

საველე და ლაბორატორიული კვლევებით შესწავლილ უბნზე გამოიყო გრუნტების 8 ლითოლოგიური სახესხვაობა, 8 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

სგე 1 - გზის საგები გრუნტი, წარმოდგენილი ღორღით და ხვინჭით; ნაცრისფერი, უხეშ და საშუალო მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 10-15%-მდე;

სგე 2 - თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჭის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დე;

სგე 3 - ღორღოვანი და ხვინჭოვანი გრუნტი, თიხნარის შემავსებლით 15-20%-მდე; ყავისფერი, მყარი, სუსტად კარბონატული თიხნარის თხელი შუაშრებით;

სგე 4 - კლდოვანი ქანი, გამოფიტული და დანაპრალებული, მუქი ლურჯი-მომწვანო, შავი ფერის ჩანაწინწკლებით და ბუდობებით;

სგე 5 - კლდოვანი ქანი, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალებული, მუქი ლურჯი-მომწვანო, შავი ფერის ჩანაწინწკლებით და ბუდობებით, მკვრივი;

სგე 6 - ვულკანური ბრექჩია, ძლიერ გამოფიტული და ძლიერ დანაპრალებული, ელუვირებული;

სგე 7 - ვულკანური ბრექჩია, გამოფიტული და დანაპრალებული საშუალო სიმკვრივის;

სგე 8 - ვულკანური ბრექჩია, სუსტად გამოფიტული და სუსტად დანაპრალებული, მკვრივი;

1. ადმინისტრაციულად უბანი მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ავტომაგისტრალის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის გზაზე კმ 85 – კმ 98;
2. საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება II კლიმატურ და II-ბ ქვერაიონს;
3. საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემას, ლოქ-ყარაბახის ზონას, ლოქის ქვეზონას;

4. რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ შუა ეოცენური ლოქ-ყარაბაღის ზონის ნალექები: ბაზალური კონგლომერატები, ტუფოქვიშაქვები, ასევე ცარცული ასაკის ტურონული და სენომანური სართულის ანდეზიტო-ბაზალტური ლავები, ეულკანური ბრექჩიები და სხვა ეულკანური ქანები.
5. სეისმურობის მიხედვით გრუნტები მიეკუთვნება II კატეგორიას;
6. სეისმურობის მიხედვით შესწავლილი გზის უმეტესი ნაწილი 9 ბალიან ზონაშია, სახიდე გადასასვლელი (ჭაბ 4) სოფელი გუგუთის მიმდებარე ტერიტორია მოთავსებულია 8 ბალიან ზონაში.
7. შესწავლილ უბანზე ჭაბურღილებში მიწისქვეშა წყლები არ გამოვლინდა;
8. გრუნტები არ ავლენენ აგრესიულობას არც ერთი სახის ცემენტების მიმართ;
9. მდინარის წყლის დამარილიანების ტიპი ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ, კალციუმიანია-მაგნიუმიანია, 0.037 გრამი ლიტრზე მინერალიზაციით;
10. ზედაპირული წყალი ავლენს სუსტ აგრესიულობას წყალბადიონის მაჩვენებლით W4 მარკის ბეტონების მიმართ;
11. წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის არმატურაზე მათი პერიოდულად დასველების შემთხვევაში არის სუსტი. ხოლო გარემოს ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი $>0.1\text{მ/დღე-ღამე}$ არის საშუალო;
12. სვე 1 გრუნტებისათვის კალიფორნიული მაჩვენებელი CBR 71.8-ის ტოლია, სვე 2-სათვის 14.0, ხოლო სვე 3 გრუნტებისათვის – 53.6.;
13. ოპტიმალური ტენიანობა და შესაბამისად მაქსიმალური სიმკვრივე სვე 1 - 5.4%, 2.2გრ/სმ³, სვე 2 - 14.7%, 1.7 გრ/სმ³, სვე 3 გრუნტებისათვის – 7.2%, 2.1 გრ/სმ³ ტოლია.;
14. სტანდარტული პენეტრაციის ცდის მონაცემებით: სვე 2 თიხნაროვანი გრუნტებისათვის B+C=N მაჩვენებელი საშუალოდ 44.3-ის ტოლია, რაც მიუთითებს, რომ სვე 2 მიეკუთვნება მყარი გრუნტებს კატეგორიას. სვე 3 ღორღოვანი სვე 4 ძლიერ გამოფიტული მაგმური და სვე 6 ძლიერ გამოფიტული ბრექჩიებისათვის, B+C საშუალოდ მეტია 50-ზე – გრუნტები მიეკუთვნება მკვრივი გრუნტების ჯგუფს;

15. სგე 5, სგე 7 და სგე 8 სუსტად გამოფიტული ბრექჩიებისათვის და მაგმური გრუნტებისათვის სტანდარტული პენეტრაციის ცდები არ ჩატარებული, მათი აგებულებიდან გამომდინარე, ამ გრუნტებისათვის დარტყმათა რიცხვის მნიშვნელობა აპრიორი მეტია 50-ზე.

გრუნტების საანგარიშო მაჩვენებლები ცხრილი 6.1

სვე №	გრუნტის კატეგორია დამუშავების მიხედვით CHИП-IV-5-85)	გრუნტის კატეგორია დამუშავების მიხედვით CHИП-IV-5-85)	გრუნტის კატეგორია სეისმურობის მიხედვით (პნ 01.01-91)	დროებითი ქანობი			ბუნებრივი ტენიანობა W, %	მინერალური ნაწილის სიმკვრივე გ/სმ ³	ბუნებრივი სიმკვრივე გ/სმ ³	პლასტიკურობის რიცხვი I _p	წინააღმდეგობა კრთლერბა კუმშვაზე Rew, მპა	CBR	პროქტორი		დეფორმაციის მოდული წყალგაჯკრებული E ₀ მპა	შინაგანი ხახუნის კუთხე. წყალგაჯკრებული, φ ⁰	შეჭიდულობა, წყალგაჯკრებული, C კპა	პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა, R _n , კპა
				1.5 მ	3.0 მ	5.0 მ							ოპტიმალური ტენიანობა	მაქსიმალური სიმკვრივე				
1	6ა-I	-	II	1:0.67	1:1	1:1	17.9	2.66	1.75	-	-	71.8	5.4	2.2	-	-	-	400
2	33გ-III	-	II	1:0	1:0.5	1:0.75	20.0	2.69	1.80	10.9	-	14.0	14.7	1.7	17.7	21.1	21.7	230
3	6ვ-III	-	II	1:0.5	1:1	1:1	13.4	2.64	1.95	9.7	-	53.6	7.2	2.1	45.0	44.0	17.0	450
4	19-VII	20ა-VII	II	1:0.2	1:0.2	1:0.5	4.8	2.51	2.21	-	7.95	-	-	-	-	-	-	-
5	19-VII	20ბ-VIII	II	1:0	1:0	1:0.2	2.0	2.53	2.38	-	32.83	-	-	-	-	-	-	-
6	17ა-V	18ა-V	II	1:0.2	1:0.2	1:0.5	11.7	2.32	1.92	-	4.69	-	-	-	-	-	-	-
7	17ა-V	18ა-V	II	1:0	1:0	1:0.2	7.7	2.31	2.11	-	7.42	-	-	-	-	-	-	-
8	17ბ-VI	18ბ-V	II	1:0	1:0	1:0.2	3.2	2.32	2.22	-	11.62	-	-	-	-	-	-	-

ლიტერატურის სია

1. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969, თბილისი.
2. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970, თბილისი.
3. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.
4. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.
5. პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სესმომედევი მშენებლობა“. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.
6. СНиП-IV-5-82 Сборники элементных сметных норм на строительные конструкции и работы (გრუნტის კატეგორია დამუშავების მიხედვით).
7. СНиП-IV-5-82 Сборники элементных сметных норм на строительные конструкции и работы (გრუნტის კატეგორია ბურღვა-აფეთქების მიხედვით).
8. СНиП-2,02,01-83* Строительные нормы и правила Основания зданий и Сооружений.
9. ГОСТ 12071-84 Грунты. Отбор, упаковка, транспортирование и хранение образцов.
10. СНиП 1.02.07-87 ИНЖЕНЕРНЫЕ ИЗЫСКАНИЯ ДЛЯ СТРОИТЕЛЬСТВА.
11. ГОСТ 25100-82 Грунты, классификация.
12. ГОСТ 25100-95 Грунты, классификация.
13. СНБ 5.01.01-99 Основания и фундаменты зданий и сооружений.
14. СП 11-105-97 Система нормативных документов в строительстве, свод правил по инженерным изысканиям для строительства, инженерно-геологические изыскания для строительства.
15. Методические Рекомендации по сбору инженерно-геологической информации и использованию табличных геотехнических данных при проектировании земляного полотна Автомобильных дорог. Москва, 1981г.
16. BS 1377, Part 4 Compaction-related tests.

17. Маруашвили Л. И. Геоморфология Грузии. Издательство „МЕЦНИЕРЕБА,,. Тбилиси, 1971.
18. Ломтадзе В. Д. Инженерная геодинамика. Ленинград „Недра,. 1977.
19. Солодучин М. А., Архангельский И. В. Справочник техника-геолога по инженерно-геологическим и гидро-геологическим работам. Москва, Недра, 1982.
20. Солодучин М. А. Инженерно-геологические изыскания для промышленного и гражданского строительства. Москва, Недра, 1982.
21. Ломтадзе В. Д. Инженерная петрология. Ленинград „Недра,,. 1984.
22. Braja M.Das. Shallow Foundations. Bearing Capacity and Settlement. California State University, Sacramento. 1999.
23. Braja M.Das. Principles of Geotechnical Engineering. Adapted International Student Edition. California State University, Sacramento. 2007.
24. Braja M.Das. Principles of Foundation Engineering. Sixth Edition. California State University, Sacramento. 2007.
25. Burt G. Look. Handbook of Geotechnical Investigation and Design Tables. Consulting Geotechnical Engineer. Taylor & Francis/Balkema, 2007.

დანართი 1


დანართი 2

დანართი 3



ბრანშლომეტრიული შემაღლებლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	ჭაბურღილი №	BH1	
გრუნტის აღწერა: თიხნარი	ნიმუში №	1.1	
	სიღრმე, მ	1.0-1.2	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	15.39	13.32	12.42	11.36	10.50	9.62	8.47	7.26	6.14	5.52	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამური პროცენტი გასული, %	0.0	15.4	28.7	41.1	52.5	63.0	72.6	81.1	88.3	94.5	100.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღლებლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	ჭაბურღილი №	BH2	
გრუნტის აღწერა: თიხნარი	ნიმუში №	2.1	
	სიღრმე, მ	1.0-1.2	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	24.41	12.96	11.28	10.27	9.42	8.56	7.19	6.27	5.26	4.38	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამური პროცენტი გასული, %	0.0	24.4	37.4	48.7	58.9	68.3	76.9	84.1	90.4	95.6	100.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღლებლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	ჭაბურღილი №	BH2	
გრუნტის აღწერა: თიხნარი	ნიმუში №	2.2	
	სიღრმე, მ	2.5-2.8	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	21.14	14.88	10.67	9.74	10.29	7.72	6.81	5.45	7.19	6.11	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გამური პროცენტი გასული, %	0.0	21.1	36.0	46.7	56.4	66.7	74.4	81.3	86.7	93.9	100.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღენლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	ჭაბურღილი №	BH3	
გრუნტის აღწერა: თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჯის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დუ	ნიმუში №	3.1	
	სიღრმე, მ	2.0-2.2	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	-	-	-	-	-	-	-	-
პროექტი გასული, %	0.00	19.59	11.41	10.43	9.28	8.17	7.39	6.62	5.17	4.62	3.54	2.41	2.25	2.09	2.15	2.32	2.56	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამური პროექტი გასული, %	0.0	19.6	31.0	41.4	50.7	58.9	66.3	72.9	78.1	82.7	86.2	88.6	90.9	93.0	95.1	97.4	100.0	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღლებლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	ჭაბურღილი №	BH4	
გრუნტის აღწერა: თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჯის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დუ	ნიმუში №	4.1	
	სიღრმე, მ	1.0-1.2	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	25.41	37.7	49.4	60.1	67.9	73.9	77.7	80.6	83.4	86.1	88.5	90.5	92.7	95.0	97.4	100.0	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამური პროცენტი გასული, %	0.0	25.4	37.7	49.4	60.1	67.9	73.9	77.7	80.6	83.4	86.1	88.5	90.5	92.7	95.0	97.4	100.0	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღენლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	ჭაბურღილი №	BH4	
გრუნტის აღწერა: თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჯის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დუ	ნიმუში №	4.2	
	სიღრმე, მ	2.0-2.2	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	26.39	13.19	12.28	9.86	6.95	5.79	3.47	3.19	2.48	1.99	1.84	1.98	2.20	2.55	2.74	3.10	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამური პროცენტი გასული, %	0.0	26.4	39.6	51.9	61.7	68.7	74.5	77.9	81.1	83.6	85.6	87.4	89.4	91.6	94.2	96.9	100.0	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღენლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	შურფი №	TP-1	
გრუნტის აღწერა: გზის საგები გრუნტი, წარმოდგენილი ღორღით და ხვინჭით; ნაცრისფერი, უხეშ და საშუალო მარცვლოვანი ქვიშის შემაესებლით 10-15%-მდე	ნიმუში №	T1.1	
	სიღრმე, მ	0.3-0.5	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საღრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	28	37.5	-	-	-	-	-	-
პროექტი გასული, %	0.00	0.22	0.84	1.23	1.22	1.46	1.52	1.69	1.75	1.83	2.19	5.95	7.49	9.48	10.29	11.63	12.59	13.36	15.26	-	-	-	-	-	-
ჯამური პროექტი გასული, %	0.0	0.2	1.1	2.3	3.5	5.0	6.5	8.2	9.9	11.8	14.0	19.9	27.4	36.9	47.2	58.8	71.4	84.7	100.0	-	-	-	-	-	-

															შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--------------------------------	-------------------------------	---------------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღენლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	შურფი №	TP-1	
გრუნტის აღწერა: თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჯის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დუ	ნიმუში №	T1.2	
	სიღრმე, მ	1.0-1.5	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	23.36	14.29	13.28	10.28	7.84	4.72	4.31	3.57	3.06	2.16	1.91	2.15	2.19	2.22	2.27	2.39	-	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულირებული პროცენტი გასული, %	0.0	23.4	37.7	50.9	61.2	69.1	73.8	78.1	81.7	84.7	86.9	88.8	90.9	93.1	95.3	97.6	100.0	-	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი												შეამოწმა ხატიაშვილი					დაამტკიცა ნაცვლიშვილი				
--	-------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	------------------------	--	--	--	--	--------------------------	--	--	--	--



ბრანშლომეტრიული შემაღენლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	შურფი №	TP-2	
გრუნტის აღწერა: თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჯის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დუ	ნიმუში №	T2.1	
	სიღრმე, მ	1.0-1.5	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	25.59	12.95	9.67	8.57	6.95	5.49	5.27	4.69	4.15	3.06	1.76	1.99	2.27	2.38	2.51	2.70	-	-	-	-	-	-	-	-
კუმულირებული პროცენტი გასული, %	0.0	25.6	38.5	48.2	56.8	63.7	69.2	74.5	79.2	83.3	86.4	88.2	90.1	92.4	94.8	97.3	100.0	-	-	-	-	-	-	-	-

შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღლებლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	შურფი №	TP-4	
გრუნტის აღწერა: თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჯის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დუ	ნიმუში №	T4.1	
	სიღრმე, მ	0.8-1.0	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საგრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	20.94	11.62	10.19	9.62	8.24	7.52	6.23	5.19	3.82	2.93	1.31	1.74	1.97	2.45	3.05	3.18	-	-	-	-	-	-	-	-
კუმული პროცენტი გასული, %	0.0	20.9	32.6	42.8	52.4	60.6	68.1	74.4	79.6	83.4	86.3	87.6	89.4	91.3	93.8	96.8	100.0	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღენლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	შურფი №	TP-5	
გრუნტის აღწერა: თიხნარი, ყავისფერი, მყარი, მოყვითალო ფერის ლაქებით, ხვინჯის და წვრილი ღორღის ჩანართებით 5-15%-დუ	ნიმუში №	T5.1	
	სიღრმე, მ	0.8-1.0	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017




საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	17.05	13.06	11.36	10.14	9.35	8.21	7.18	3.98	4.06	3.15	1.49	1.66	2.15	2.29	2.34	2.53	-	-	-	-	-	-	-	-
კუმული პროცენტი გასული, %	0.0	17.1	30.1	41.5	51.6	61.0	69.2	76.4	80.3	84.4	87.5	89.0	90.7	92.8	95.1	97.5	100.0	-	-	-	-	-	-	-	-

	შეასრულა თედლიაშვილი	შეამოწმა ხატიაშვილი	დაამტკიცა ნაცვლიშვილი
--	-------------------------	------------------------	--------------------------



ბრანშლომეტრიული შემაღლებლობა (ბრაზიკი)

ადგილმდებარეობა:	პროექტი	ფონიკალა-მარნეული-გუგუთის გზის კმ 85 - კმ 98 მონაკვეთი	
	შურფი №	TP-6	
გრუნტის აღწერა: გზის საგები გრუნტი, წარმოდგენილი ღორღით და ხვინჭით; ნაცრისფერი, უხეშ და საშუალო მარცვლოვანი ქვიშის შემაჯავებლით 10-15%-მდე	ნიმუში №	T6.1	
	სიღრმე, მ	0.5-0.7	
ტესტირების მეთოდი	BS 1377 : Part 2 : 1990 : 9.5	თარიღი	22.06.2017





საცრის ზომა, მმ	0.00	0.002	0.005	0.063	0.15	0.212	0.3	0.425	0.6	1.18	2	3.35	5	6.3	10	14	20	28	37.5	-	-	-	-	-	-
პროცენტი გასული, %	0.00	0.19	0.56	0.97	1.35	1.56	1.68	1.73	1.84	2.09	2.36	6.77	8.29	10.18	11.65	12.39	13.27	12.26	10.86	-	-	-	-	-	-
კუმულირებული პროცენტი გასული, %	0.0	0.2	0.8	1.7	3.1	4.6	6.3	8.0	9.9	12.0	14.3	21.1	29.4	39.6	51.2	63.6	76.9	89.1	100.0	-	-	-	-	-	-

															შეასრულა თედლიაშვილი		შეამოწმა ხატიაშვილი		დაამტკიცა ნაცვლიშვილი	
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	-------------------------	--	------------------------	--	--------------------------	--

დანართი 4



ქანების კომპრესიაზე გამოცდის შედეგები

პროექტი:	ფონიჭალა-მარნეულის-გუშაუთის გზის 85-კმ 98 მონაკვეთი	ადგილმდებარეობა:			გრანულომეტრიული შედეგნილობა			გრუნტების ფიზიკური მარკენებლები ბუნებრივ მდგომარეობაში						
ჭაბურღილი №	BH3	ქანის აღწერა:			ხრემი	>2.0	-	ბუნებრივი ტენიანობა, W %			20.5			
